დანართი IV

მოხსენიებულია მუხლის 2.11 პუნქტში

ქვეკომიტეტის მანდატი საქონლით ვაჭრობაზე

<u>დანართი IV</u>

<u>მოხსენიებულია მუხლის 2.11 პუნქტში</u>

<u>ქვეკომიტეტის მანდატი საქონლით ვაჭრობაზე</u>

1. მხარეებმა შექმნეს საქონლით ვაჭრობის ქვეკომიტეტი (შემდგომში წოდებული, როგორც „ქვეკომიტეტი), რომელშიც შევლენ თითოეული მხარის წარმომადგენლები.

2. ქვეკომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 თავებში, და დანართებში II და III წამოჭრილი საკითხები.

3. ქვეკომიტეტის ფუნქციებია:

   (a) ვალდებულებების შესრულებისათვის მიღებული ზომების მონიტორინგი და განხილვა;

   (b) ინფორმაციის გაცვლა და პროცესების განხილვა;

   (c) ტექნიკური ცვლილებების მომზადება, მათ შორის, ჰარმონიზირებული სისტემის (HS) განახლება და ერთობლივი კომიტეტის დახმარება;

   (d) საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომელიც გადაცემულია ქვეკომიტეტისათვის ერთობლივი კომიტეტის მიერ; და

(e) რეკომენდაციების და ანგარიშების მომზადება ერთობლივი კომიტეტისთვის საჭიროების შემთხვევაში.

4. ქვეკომიტეტი მოქმედებს კონსენსუსის საფუძველზე.

5. ქვეკომიტეტის შეხვედრები იმართება საჭირო სიხშირით. მისი მოწვევა განხორციელდება ერთობლივი კომიტეტის მიერ, ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მიერ ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე. შეხვედრები ჩატარდება მონაცვლეობით EFTA-ს სახელმწიფოში და საქართველოში, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ქვეკომიტეტის შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების მეშვეობით.

6. ქვეკომიტეტის შეხვედრებს ხელმძღვანელობას უწევს EFTA-ს სახელმწიფოს ან საქართველოს წარმომადგენელი დროის შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, სხვა მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე, მოამზადებს თითოეული შეხვედრის წინასწარ დღის წესრიგს; აღნიშნული დღის წესრიგი გაეგზავნებათ მხარეებს, როგორც წესი, არაუგვიანეს შეხვედრამდე ორი კვირით ადრე.

7. ქვეკომიტეტი მოამზადებს მისი თითოეული შეხვედრის შედეგების ანგარიშს და თავმჯდომარე, მოთხოვნის საფუძველზე,ერთობლივი კომიტეტის მომდევნო შეხვედრაზე გააკეთებს მოხსენებას.

_____